სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/82

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026წ

(სასერტიფიკატო) ტრენინგ-პროგრამების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 26.06.2026 წლის სხდომის №12 ოქმის და „პერსონალის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტის აღრიცხვის და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-04/80 დადგენილების და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისისს №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და მონიტორინგის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის (სასერტიფიკატო) ტრენინგ-პროგრამები თანდართული დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

1. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი.
2. მებათქაშე;
3. თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი;
4. მეფილე-მომპირკეთებელი;
5. პოლიეთილენის მილების შემდუღებელი;
6. მეჯამბარე;
7. მცირეთვლიანი დამტვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია;
8. დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი;
9. მღებავი;
10. ავტოდამტვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია;
11. შემდუღებელი (ელექტრორკალური);
12. ელექტრო-აირშემდუღებელი და აირმჭრელი;
13. შემდუღებელი ინერტული (MIG), აქტიური (MAG) აირის გარემოში და ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში;
14. სამაცივრე ტექნიკის ტექნიკოსი;
15. ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემების მემონტაჟე-შემკეთებელი;
16. ზეინკალი;
17. სანტექნიკისა და გათბობა-წყალგამაცხელებელი სისტემების მემონტაჟე-შემკეთებელი;